ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №375158

ნომერი: AR183920

თარიღი : 29.09.2012

გაცემის თარიღი : 15.10.2012

გაცნობის თარიღი : 18.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტრო დიდუბის მიმდებარედ, (ნაკვ. 51/60) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ძამელაშვილი პ/ნ 01008027996
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 24 ბ. 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- კოეფიციენტის განსაზღვრა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი #01.13.03.051.060), დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ში, რომელიც წარმოადგენს განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონას, მათ შორის კარკასი სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით;
საზოგადოებრივ-საქმიან ზონა (სსზ-2)-თვის დგინდება შემდეგი ქალაქმშენებლობითი პარამეტრები:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ1) – 0,7;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ2) – 4,6;
- მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3) – 0,1;

შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, რეკომენდებულია არა უმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის.

ამასთან გაცნობებთ, რომ მოცემული ტერიტორია წარმოადგენს პერსპექტივაში ქალაქისთვის უმნიშვნელოვანეს მრავალფუნქციურ სატრანსპორტო კვანძისთვის განკუთვნილ ტერიტორიას და მასზე ვრცელდება დროებითი შეზღუდვა. დამუშავებულია განაშენიანების რეგულირების ე. წ. "ჩარჩო გეგმა", რომელიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს და რომლის გათვალისწინებით უნდა განვითარდეს აღნიშნულ ტერიტორიაზე შემავალი ყველა მიწის ნაკვეთი. გამომდინარე აქედან, თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილება სამსახურს ამ ეტაპზე ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.